



დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება #27

2015 წელი 3 აპრილი

ქ. დუშეთი

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების, სოფ. შუაფხოში მდებარე 50 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (ს/კ 71.67.01.112) და სოფ. მოწმაოში მდებარე 10 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო (ს/კ 71.65.78.161) დანიშნულების მიწების შპს „მაგთიკომისთვის“ სასყიდლიან სარგებლობაში (აღნაგობის უფლებით) გადასაცემად დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებლისათვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტების, ამავე კოდექსის 122-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და ამავე მუხლის მე-2, მე-4 პუნქტების საფუძველზე, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა :

1. მიეცეს თანხმობა დუშეთის მუნიციპალიტეტის გამგებელს, შპს „მაგთიკომს“ სასყიდლიან სარგებლობაში (აღნაგობის უფლებით) გადასცეს დუშეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება, სოფ. შუაფხოში მდებარე 50 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების (ს/კ 71.67.01.112) და სოფ. მოწმაოში მდებარე 10 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო (ს/კ 71.65.78.161) დანიშნულების მიწები, ხოლო წელიწადში გადასახდელი ქირის ოდენობა განისაზღვროს 660 (ექვსას სამოცი) ლარით.
2. ეს განკარგულება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

გიორგი ლაფანაშვილი